ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი N 02

დ. ლენტეხი. 21 მაისი.2025წ.

მიმდინარე წლის 21 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ სოციალურ საკითხთა კომისიი თავმჯდომარე ზურაბ ონიანი, წევრები : იაკობ გაზდელიანი, დალი ტვილდიანი, ირინა ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი, მოწვეული სტუმრები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი ტულუ აფაქიძე და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ექიმის დარეჯან გაზდელიანის განცხადების განხილვა.

მომხსენებელმა ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ექიმი დარეჯან გაზდელიანი /ს.ნ.27001001832/ განცხადების მიხედვით ითხოვს ფინანსურ დახმარებას.

კერძოდ, აღნიშნული პიროვნება მ/წ 10 აპრილიდან გადის გადამზადებას რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგიის კურსზე, რომელიც ფასიანია და სრული კურსის ღირებულება შეადგენს 3200 ლარს.

დარეჯან გაზდელიანს, როგორც სვანეთში მუდმივ მცხოვრებელს, სურვილი აქვს დარჩეს სამუშაოდ მშობლიურ მხარეში, აიმაღლოს კვალიფიკაცია და როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმი ემსახუროს რაიონის მოსახლეობას.

დარეჯან გაზდელიანს განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი აქვს:

1. ცნობა, რომ ნამდვილად სწავლობს წმინდა მიქაელის ჰოსპიტალის რეზიდენტურის ცენტრში 2025 წლის 10 აპრილიდან და გადის გადამზადების პროგრამას გადაუდებელ მედიცინაში;
2. ანგარიშ-ფაქტურა N: 9.

მოისმინეს: საკითხიდან გამომდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა შეკითხვით მიმართა საფინანსო სამსახურის უფროსს ტახუ ჩანქსელიანს, რომ მსგავს შემთხვევაში თუ არსებობს ადგილობრივ ბიუჯეტში სწავლის დასაფინანსებლად რაიმე თანხა, ან სარეზერვო ფონდიდან თუ შეიძლება ასეთი სახის თანხის გაცემა?

პასუხად საფინანსო სამსახურის უროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ სარეზერო ფონდიდან სწავლის დასაფინანსებელი თანხის გაცემა არ შეიძლება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით. გამოთქვეს აზრი, რომ თუ ლენტეხის რაიონულ საავადმყოფოს არ ჰყავს სხვა რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი და მსგავსი სპეციალობის ექიმის გადამზადება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ამ შემთხვევაში რაიონული საავადმყოფოს ხელმძღვანელის მხრიდან აუცილებელია წერილი, რომლის საფუძველზეც დარეჯან გაზდელიანის გადამზადების საკითხის განხილვა განმეორებითი მოხდება საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის მორიგი სხდომაზე. შესაბამისად კომისიის მორიგ სხდომაზე იქნება მსჯელობა რაიონისთვის აუცილებელი კადრის დაფინანსების თაობაზე. ამავე დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დაფინანსების შემთხვევაში, ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული კადრის რაიონში მუშაობის აუცილებლობა, მინიმუმ 5 (ხუთი) წლით მაინც.

გადაწყვიტეს: გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ექიმის დარეჯან გაზდელიანის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და საბუთებს თან დაერთოს ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს დირექტორის ბადრი ლიპარტელიანის წერილი აღნიშნული სპეციალობის ექიმის საჭიროებაზე, რომ შემდგომ კომისიის მორიგ სხდომაზე განმეორებით მოხდეს ზემოთ აღნიშნული პიროვნების განცხადების განხილვა და შესაძლებლობის ფარგლებში დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: /ზ.ლიპარტელიანი/